ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ
ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: გიორგი ივანიაძე

თანამდებობის დასახელება: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ფრაქციის დასახელება: ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო

კომისი(ებ)ის დასახელება:

იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია;

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით): პროპორციული;

საანგარიშო პერიოდი - 2019 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის 1 ნოემბრამდე

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე): რიგითი

I. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

*1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა:* 20

საკრებულოს სხდომებზე დასწრება: 20 (100 %), მათ შორის 4 სხდომის თავმჯდომარე;

2. *სულ კომისიის სხდომების რაოდენობა: 12*

კომისიის სხდომებზე დასწრება: 12 (100 %)

3. *სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა: 9*

ფრაქციის სხდომებზე დასწრება: 9 (100 %)

4. *საკრებულოს წევრის მიერ ინიციირებული საკითხები:*

*1. განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ შუამთის N11 ქუჩისათვის ლადო სულაბერიძის სახელის მინიჭების შესახებ“ (N 27 11; 10.06.20);*

*2. განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ შუამთის N17 ქუჩისათვის გიორგი ნაფეტვარიძის სახელის მინიჭების შესახებ “ (N 27 12; 10.06.20);*

*3. განკარგულება „ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი სამოქმედო გეგმის ვანის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობისათვის ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით (2020 წლის ივნისი - 2021 წლის სექტემბერი) დამტკიცების შესახებ" (N27 23, 09.09.20);*

*4. განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ შუამთის N12 ქუჩისათვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების შესახებ ";*

ინიციირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა **3 განკარგულება;**
მეოთხე პროექტზე შესაბამისი სამთავრობო კომისიის მიერ გაიცა უარყოფითი დასკვნა;

***5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები :***

1. განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტში 2020-2021 წლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის შესახებ" (N 27 49, 13.11.19);

2. დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" (N 27, 25.12.19);

3. დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ" (N30, 25.12.19);

4. განკარგულება „ვანის მუნციციპალიტეტში 2020 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ" (N 27 4, 02.03.20);

5. განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ" (N 27 6, 08.04.20);

6. დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის (2020-2023)" დამტკიცების შესახებ" (N17, 27.05.20);

7. დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" (N18, 27.05.20);

8. განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2019 წელში გაწეული მუშაობის ანგარიშის შეფასების შესახებ" (N 27 17, 18.08.20);

9. *განკარგულება „ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი სამოქმედო გეგმის ვანის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის*

*სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობისათვის ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით (2020 წლის ივნისი - 2021 წლის სექტემბერი) დამტკიცების შესახებ" (N27 23, 09.09.20);*

*6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:*

7. მოქალაქეებთან შეხვედრები და ამ შეხვედრებისას გამოთქმული ძირითადი საკითხები :

- გასვლითი შეხვედრები მოვაწყვე ვანის მუნიციპალიტეტის შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში: შუამთა, მთისძირი, ყუმური, მუქედი, ბზვანი (ბაძგის უბანი); შეხვედრებს ჯამში 220 მოქალაქე დაესწრო. ასევე 2020 წლის სექტემბრიდან ყოველ ორშაბათს საკრებულოში მაქვს მოქალაქეთა მიღების დღე, თუმცა შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე (პანდემია) მოქალაქეთა აქტიურობა ძალიან დაბალია;
- მოქალეებთან შეხვედრებზე გამოთქმული საკითხები:
    - შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ შუამთის ცენტრში სპორტული ტრენაჟორების მოწყობის შესახებ;
    - შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალური ქუჩისათვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების შესახებ;
    - შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში შესაბამისი ქუჩებისათვის პოეტების გიორგი ნაფეტვარიძისა და ლადო სულაბერიძის სახელების მინიჭების შესახებ;
    - შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში ქედის წმ. გიორგის ეკლესიისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაციის შესახებ;
    - მთისძირის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზების რეაბილიტაციის შესახებ;
    - ყუმურის ადმინისტრაციულ ერთეულში ყუმური-დუცხუნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის შესახებ;
    - მუქედის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზების რეაბილიტაციისა და საბავშვო ბაღის მშენებლობის შესახებ;
    - ბზვანის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ქვედა ბზვანის ბაძგის უბანში გზის რეაბილიტაციისა და სასმელი წყლის პრობლემის მოგვარების შესახებ;

9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

- *სოფელ შუამთის ცენტრში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოეწყო სპორტული ტრენაჟორები;*
- *საკრებულოს შესაბამისი განკარგულებით, სოფელ შუამთის N11 ქუჩას მიენიჭა ლადო სულაბერიძის, ხოლო N17 ქუჩას - გიორგი ნაფეტვარიძის სახელი;*
- *მთისძირის ადმინისტრაციულ ერთეულში მოხდა გარკვეული შიდა გზების მოასფალტება;*
- *მუქედის ადმინისტრაციულ ერთეულში მოხდა მინაშვილების უბნისა და კორძაძეების (ე.წ. „გაბურდულები") უბნის გზების რეაბილიტაცია;*
- *მომზადდა პროექტი მუქედის საბავშვო ბაღის მშენებლობისა და სოფელ ქვედაბზვანის ბაძგის უბნის გზის რეაბილიტაციისათვის;*
- *მუნიციპალიტეტის მერის წინაშე დასმულია საკითხი სოფელ ქვედაბზვანის ბაძგის უბნის სასმელი წყლით უზრუნველყოფის პრობლემის მოსაგვარებლად;*
- *მიღწეულია წინასწარი შეთანხმება მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიას შორის, რომ 2021 წელს რგპ ფონდიდან მოხდება ყუმური-დუცხუნის გზისა და სოფელ შუამთაში გიორგი ნაფეტვარიძის ქუჩის (ქედის წმ. გიორგის ეკლესიამდე) გზის რეაბილიტაცია;*
- *გრძელდება მუშაობა და კონსულტაციები სოფელ შუამთაში ცენტრალური ქუჩისათვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭებისათვის;*

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

- პარალელურად ვარ ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი და თავმჯდომარის მოადგილე; საბჭოს სხდომები იმართება კვარტალში ერთხელ; საბჭოს სამივე სხდომა გაიმართა ჩემი თავმჯდომარეობით, დამტკიცდა 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა ( საკრებულოს განკარგულება N27 3, 12.02.20);
- 2020 წლის ივნისიდან ვარ საჯარო მმართველობის რეფორმის დანერგვის მიზნით ვანის მუნიციპალიტეტში შექმნილი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე; ჯგუფის შეხვედრები იმართება თვეში ერთხელ. ჩატარებულია სამუშაო ჯგუფის 5 შეხვედრა ჩემი თაოსნობით, მათ შორის ოქტომბერში დისტანციურ რეჟიმში; შემუშავებულია და დამტკიცებულია ადვოკატირების სამოქმედო გეგმა და *„ადგილობრივი თვითმმართველობისა და*

*სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი სამოქმედო გეგმა ვანის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობისათვის ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით (2020 წლის ივნისი - 2021 წლის სექტემბერი)" (დამტკიცდა საკრებულოს განკარგულებით N27 23, 09.09.20); მიმდინარეობს მუშაობა მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის განახლებაზე, საჯარო მოხელისა და საკრებულოს წევრის ეთიკის კოდექსზე;*

| | |
|---|---|
| შევსების თარიღი | 25 ნოემბერი, 2020 წელი |
| წარდგენის თარიღი | 10 დეკემბერი, 2020 წელი |
| ხელის მოწერა | ----------ჟ. ეკ---------- |